გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს თავისუფლ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. Тифлис, ред „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ „Іосифу Имедашвил

1918 წ. № 9 კვირა, ივნისის 16 ფასი 1 მან. წელიწადი მეექვსე გამოცემის

გრაფი შულენბურგი
გერმანიის ელჩი საქართველოს რესპუბლიკის წინაშე თბილისში

მიხეილ წერეთელი
ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე.

პეტრე სუგრულაძე
ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე

გიორგი მაჩაბელი
ახალგაზდა პოლიტიკური მოღვაწე

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა კომიტეტის წევრნი საზღვარ გარედ

ჩვენი თეატრი (დრამა და ოპერა)

რევოლიუციის წინა დროის საქართველოში, რუსეთის ბატონობის დროს, ქართულ თეატრს თითქმის მუდამ ღირსეულად ეჭირა ხელოვნების დროშა და ერში გათვითცნობიერების სხივები შეჰქონდა, თუმცა მის მსახურ-ქურუმს ბევრი დაბკროლება ელობებოდა: ნივთიერი ხელმოკლეობა. საზოგადოების უთანაგრძნობლობა, რუსის ცენზორის ბატონობა და სხ. ამიერიდან ქართულ თეატრის ასპარეზი გაფართოვდა. ამიტომ ქართული სასცენო ხელოვნების მსახურთ სიფხიზლე ჰმართებთ შეცვლილ მდგომარეობაში მიზანშეწონილად სამოქმედოთ.

თბილისში ქართული დრამის საქმეს როგორც ისმის, მომავალი სეზონიდან გაუძღვება ქართული დრამატიული საზოგადოება ახალი დასით, რომლის ხელმძღვანელობაც მინდობილი აქვს გ. ა. ჯაბადარს. ამ ახალი დასის საქმე იქნება ჩვენი თეატრის აღდგენა აღორძინება. თბილისში მოგვეპოება ქართველ მსახიობთა კავშირიც, რომლის ირგვლივ თავს იკრებენ ჩვენი ძველი მსახიობნი. ამიერიდან მათი მხოლოდ დედაქალაქში დარჩენა ცოდვა იქნება. ცოცხალი, მიჯაჭერძველი და ნათელი სიტყვა, სცენიდან ნათქვამი, ჩვენი ცხოვრების სიმახინჯეს სცენაზე განსახიერება ისე არასოდეს არ ყოფილა საჭირო, როგორც დღეს. ამიერიდან ქართველ ჭეშმარიტ მსახიობს კიდევ უფრო დიდი მოვალეობა აწვება. ამიტომ საჭიროა ქართვ. მსახიობთა კავშირმა თავისი მოქმედების ფარგლები გარედაც გაიტანოს. საჭიროა სეზონის საქმე მოეწყოს ბაქოსა და ბათომში (ქუთაისსა და სხვაგან, ალბად, ადგილობრივ ძალნი მოაწყობენ საქმეს). ამისათვის, თუ საჭირო იქმნა, ნივთიერი დახმარებაც უნდა მოითხოვონ, საიდანაც ჯერ არს.

დრამის გარდა, საქართველოს დედაქალაქს ოპერაც ეჭირვება უცხო საოპერო დასების გარდა, უნდა შესდგეს საოპერო დასი და ქართულ ოპერის საქმეს საძირკველი ჩაეყაროს. ჩვენ საამისოდ რეპერტუარიც მოგვეპოება და ძალებიც გვყავს: ოპერები—„თამარ ცბიერი“ „ვეფხის ტყაოსანი“, „შოთა რუსთველი“, „აბესალომ და ეთერი“, „ქრისტინე“ ღალატი „კერპთა დამხობა“ და სხვ. შესაფერი მომღერალ მსახიობნიც გვყვანან აქა იქ გაფანტულნი, ხოლო როცა საქმე დაიწყება, მაშინ ახალი ძალნიც გამოჩნდებიან. ამ საქმეს ჩვენის მთავრობის მხრით სუბსიდიაც უნდა დაენიშნოს.

სად უნდა მოთავსდეს ქართული ოპერა და დრამა? რაღა თქმა უნდა საქართველოს სახემწიფო თეატრში. ამისათვის ზრუნვაა საჭირო. რომ ბოლოს შეგვიანებულზე არ ვინანოთ.

ახალი ხანა

ჩვენმა სამშობლომ ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო. საქართველომ 117 წ. განმავლობაში რუსეთის უღლის ტარების შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საკუთარ ფეხზე შესდგა, და თავისუფლად ამოისუნთქა ადამიანთა საუბედურად დაწყებულ მსოფლიო ომს საქართველომ დროებ[illegible] თავი დაახწია, ოსმალეთთან ზავი შეჰკრა კეთილმეგობ[illegible]ბის განსამტკიცებლად და ამ ომის ერთ უძლიერეს მონაწილეთაგანს—გერმანიას თავი შეაფარა. ამიერიდან გერმანია ჩვენი მფარველია; ამიერიდან საქართველო უცხო სახემწიფოთა პატარა ძმაა, თავის საქმეებს თითონ გაუძღვება, თავის მიწა-წყალს თვითონ მოიხმარს, თავის სამშობლო ენით და კულტურით განვითარდება.

ვინ არის გერმანია?

სწავლა-ცოდნით დაწინაურებული, მრეწველობა-ვაჭრობა-მეურნეობით განვითარებული. ფილოსოფია-ხელოვნებით სამაგალითო, ტექნიკით უაღრესად წინწასული. ასეთი სახემწიფოს მფარველობა რას გვიქადის?

წინსვლას, აღყვავებას, გაძლიერებას, ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას, თუ ჩვენს ბუნებით ნიჭს ავამოძრავებთ და ხელს გავანძრევთ, თუ არა და იქნება ჩვენი მშვენიერი ქვეყნის ნასუფრალიც არ შეგვრჩეს და სხვის მეწველ ფურად შევიქმნეთ.

ეს რომ არ დაგვემართოს, როგორ უნდა მოვიქცეთ? ყოველივე კარგში მივბაძოთ ჩვენს ახალ მოკავშირეს: ჩვენი საყვარელი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ისევე ვიბრძოლოთ, რდგორც გერმანელი იბრძვის თვის ქვეყნის სადიდებლად, რა პარტიისაც უნდა იყოს (მოიგონეთ სახელგანთქმული ბებელი), სწავლა განათლება ისევე ავაყვაოთ ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სწავლების შემოღებით, როგორც გერმანიაშია, ვაჭრობა-მრეწველობა - მეურნეობა ისევე გავფურჩქნოთ, როგორც გერმანიაში... ერთი სიტყვით ისევიევე წესით ვიცხოვროთ, როგორც გერმანია. ამისათვის რა გვჭირია? დროით მოვიწვიოთ საქართველოს დამფუძნებელი კრება, შევიმუშაოთ შესაფერი ძირითადი კანონები, ძირ-ფესვიანად შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების მავნე ხნე-ჩვეულება წესები, გავსწმინდოთ ჩვენი ქვეყანა უცხოთა ზედნაშენობისგან და ახალ გზას შევუდგეთ, რომ მართლა და ღირსეული შვილნი შევიქნეთ ჩვენი ტურფა საშობლოსი, საპატიო მოკავშირენი ჩვენი ახალი მეგობრის გერმანიისა...

ამ ახალი ცვლილებით როდის დავსტკბებით? როცა ჩვენს სამშობლოს სულით და გულით შევიყვარებთ, როცა რაც ჩვენია სხვის

არ დაუთმობთ, სხვისას ხელს არ წავატანოთ.

საქართველოს უხსოვარ დროიდან ეტანებოდენ გარეშე მტრები, ხან ფარისევლური მოყვრობით, ხან აშკარა მტრობით, მაგრამ საქართველომ მაინც დღემდე მოახწია.

მოიგონეთ ბერძენთ გმირი იაზონი ჩვენს სამშობლო კოლხეთს რომ ეწვია, ოქროს ვერძი და ტურა მედეა გაიტაცა. იაზონმა ბოლოს მედეას ულალატა. მერე რა მოიგო? მედეას სასტიკი შურის ძიება. და მის შემდეგ ყველა, ვინც-კი ჩვენს ჩაყლაპვას მოინდომებდა ხოლმე, ხახას ძვალი გაეჩხირებოდა, ირჩობოდა. ქართველი თავისი ხასიათით მოყვარეს თავს ევლება, მტერს კი რისხვად ევლინება. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც ჩვენს ხელის წამოკვრას და ჩაყლაპვას მოინდომებს.

მსოფლიო ომის ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა და ვინ იცის, რა მოგველის, მაგრამ რაც უნდა მოგველოდეს, ჩვენ მაინ. მომავალის ღრმა რწმენით უნდა განვიმსჭვალნეთ, მუდამ დარაჯად ვედგეთ ჩვენს მრავალწამებულ კეკლუც სამშობლოს თავისუფლებას... სასოწარკვეთილება და უნუგეშობა ლაჩართ წესია... ქართველ კაცს-კი მუდამ შავ ბედთან ბრძოლა, სულის რაინდობა და სიფხიზლე ჰშვენის...

და როდის უფრო შევძლებთ შავ ბედთან ბრძოლას და რაინდული სულის აღდგენა-განმტკიცებას? როცა ყველა საქართველოს სამფეროვან ერთი დროშის ქვეშ შემოვკრებებით ერთის რწმენით აღფრთოვანებულნი იმ დროშის რომელიც სიმბოლოა მამულიშვილობის, ძმობა-ერთობის და სიყვარულის...

შორსგამჭვრეტელობა და სიფხიზლე, რომ ახალ მახეში არ გავებ თ და არ ავკვნესდეთ, როგორც აკაკიმ ააკვნესა თავისი ჩანგი რუსთა შემოსვლის შემდეგ:

„შორიდან შემოგვეპარა
მტერი, ვით ტურა მელაო“...

მუდამ გვახსოვდეს, რომ „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო სხვა დასხვა ,ეუთხის შვილები .. ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო!..“

და ღრმადა გვწამდეს, რომ „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვ-ს სარჩობელაო!..“

ამ რწმენით შევეგებნეთ ახალი ხანის დაწყებას, რომ ჩვენი თავი ნართლა ჩვენად გვეყუდოს, რო მტერმაც-კი პატივი გვცეს, მოყვარემ ჩვენით იხაროს!

გაუმარჯოს ახალ ხანას, გაუმარჯოს ჩვენს თვითმოქმედებას! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

იოსებ იმედაშვილი

* * *

(აკაკის ხასუხად)

არ მომკვდარვარ, თუმც მეძინა
მტრის ლახვარით განგმირულსა,
მაჯის ძარღვი კვლავ მიცემდა,
ბგერა შერჩა ისევ გულსა!..

მრავალ ბრძოლით მოქანცულმა
მე მოყვარედ ვიხმე მტერი
და მეგონა მის შეწევნით
ვიქნებოდი ბედნიერი,

მაგრამ ვაგლახ, სჯულიანმა
უსჯულოზედ მიქმნა, მეტი,
ყმად მიქცია, ენას მგლეჯდა,
თავში დამცხო რკინის კეტი...

ღონე მიხდილს, სისხლით დაცლილს
დამისუსტდა გმირი გული,
მიმეძინა... ბევრს ეგონა,
ბედით ვიყავ განწირული:

ხო მა ცრემლი დამადინა.
ზოგი ძაძით შეიმოსა,
ის ჰგალობდა „სულთა თანა“-ს
სალხინოს, საზეიმოსა...

მაგრამ შესცდა, ძილის დროსაც
სასიცოცხლოდ გული ცემდა...
ვინც ჩემს სიკვდილს მოელოდა,
ის დაემხო და ამტვერდა!..

არ მომკვდარვარ, თუმც მეძინა
მტრის ლახვარით განგმირულსა. .
აგერ აღვსდეგ და კვლავ შევძლებ
საქმეს მამაცს და გმირულსა!..

ს. ახსაზარაგი

მ ი პ ა ს უ ხ ე!..

უეცრივ შემოიჭერ ჩემს ... ებაში... დამიმორჩილე, შემიპყარ... პირველად შენ შემასვი ჯადი სნური თილისმა... შენ მიერ მოჯადოვებული, აკვნესებული სული დღე და ღამ გეძებს, ელის შენს გამოხმაურებას, მაგრამ ამაოდ—შენ „მას“ გაჰყევი, შენი სული მხოლოდ „მას“ ესალბუნება...

რა რიგ მინდოდა, აი, იმ ღამეს, ბაღში რომ ვიყავით, ჩამეჩურჩულებინა შენთვის სიყვარულის ამოცანის ასახსნელი ძილის პირები, მაგრამ მოულოდნელად ,,ის'' მოვიდა და.. შენ მას გაუცინე, ვარდისფერად გადუკისკისე და დაამსხვრიე ზრახვანი ჩემი სულისა... „ის“ მიმიხვდა და მალე გაგშორდა, მაგრამ... მაგრამ შენი გულიც თან წარიტაცა...

„აი შეხედე, ერთი ვარსკვლავი მოსწყდა ცას, ალბათ ვისიმე მიჯნური გამოესალმა წუთი სოფელს—ამბობენ თვითეულ ადამიანს ჰყავს თავისი საკუთარი ვარსკვლავი, რა გულით მინდოდა შენ ყოფილიყავ ჩემი ვარსკვლავი მეთქი, გებუტბუტ ბოდი კრძალვით, მაგრამ ამაოდ—შენ ყური აღარ მათხოვე... პასუხის ნაცვლად ბებერ მთვარეს მიაშყარ თვალი და ჩემ სიახლოვეს ვერც კი გრძნობდი. შენი უძირო გრძნობათა ზღვა თვალების წამწამები წითლად ცელქობდნენ მის შუქზე.. ისიც უხვად გაფრქვევდა მზისგან ნასესხებ საიეებს... მაგრამ ამ დროს ჭოტის ჩხავილმა შეგაშინა და.. ჩემსკენ მოიწია, მომეკარ, მოხვდა ყური ყურს, რომელთა შარაშურს მხოლოდ იგივე ჭოტის ჩხავილი არღვევდა... შენ მალე გამოერკვიე—გამომტაცე თავი, ცივად ხელი ჩამომართვი, გამექეცი და.. წამართვი მყუდროება სთლისა...

უშენოდ ბაღში კიდევ დიდხანს დავრჩი; შენ წაგბაძე—მეც იმავე ბებერ მთვარეს დაუწყე ყურება, თითქოს იმისგან მოველოდი შენს მაგიერ პასუხს, მაგრამ წამოუბერა დასავლეთის ქარმა და ერთი შავი ღრუბლის ნაჭერი მთვარეს გადააფარა... მანაც არ მითანაგრძნო. მისთვისაც კი ჯადაგეცა ჩემდამი მტრობა... ნაღვლიანად წამოვდექი, დიდხანს უყურე შენ ნაჯდომ ადგილს, საიდანაც მაბეზღებდი მთვარესთან...

რად მ.ბეზღებდი, რას მერჩოდი? ვიყაყი კი დამნაშავე, რომ შენ „ის“ გიყვარდა, მას შენ და შენ კიდევ მე? დამნაშავე შენ თითონ არა ხარ? მაშ რად მიამბე ის „სიყვარულის ზღაპარი'', აი, ხომ გახსომს ჰაშაკში რომ ქანაობდი მე კი ახლოს ატუზული საცოდავად გისმენდი იმ ,,სიყვარულის'' საღაცხოვო ზღაპარს?

შენ თვითონ ... მითხარ ,,მასაც'' ეს ზღაპარი უამბე სიყვარულის პირველ დღესო? შესცდი? მოსტყუვდი, გამტყუნა ნებისყოფამ? მერე და მე რადა ვარ დამნაშავე, შურს რად იძიებ, ან ,,ის'' რად მრისხანებს, ნუ თუ ჰგონია მხოლოდ ,,მას'' ერთს შეეძლო და ჰქონდა უფლება შენი სიყვარულისა?! გახსოვს, კიდევ ერთ ხელ ალუმბლის ჩრდილ ქვეშ რომ გეძინა, მოგეპარე, ცხვირსახოცით გიგრილებდი და მწვანე მინდორზე გაშლილ შენს თმებს ცალ-ცალკე ვახვევდი ქურდულად კოცნის ტანთსაცმელში? რა ბედნიერებას ვგრძნობდმ იმ დროს, მაგრამ... შენ, შენი გრძნეული ალღოთი მძინარმაც კი იგრძენ ჩემი ქურდობა და.. გაიღვიძე... ჩემ სულს ისევ სევდა რკალი შემოერტყა... შენ სდუმდი, მაგრამ ის დუმილი ოქრო რჩეული, რომელმაც მომტაცა ის წუთიერი ბედნიერებაც-კი... წუთიერი.

მაგრამ განა ყველაფერი წუთით არ არსებობს ამ ქვეყნად? მთელი ჩვენი მიწიერი სიცოცხლე წუთიერი არ არის? თუ არა, აბა მითხარი: რა არის ამ ქვეყნად სამარადისო, უკვდავი? საით მიისწრაფვის ადამიანის მშფოთარე სული, რას ეძებს? რით, ან როდის მოისვენებს ადამიანი? ან კი არსებობს სამარადისო ბედნიერება თუ უბრალოდ ლევს ადამიანი მის ძებაში სულს? მიპასუხე!.. კრ. საქარიქიდელი

ლ ო ც ვ ა

თუ ვერ დავბრუნდე, ჩემო ღვთაებავ,
არ დამივიწყო ბრძოლისა ველზე;—
მკვდარიც გახსოვდე და ეს სურათი
არ მოიშორო მაგ თეთრ-ფიფქ ყელზე!

რაც დრო ვატარე, მხოლოდ ის შემრჩა—
იმის მეტს აწი აღარც-კი ველი;
სამშობლოსათვის თავი მსურს დავსდო...
აბა, მშვიდობით; მომეცი ხელი!!..

ალეტი ვეშაძე

რაბინდრანთ თაგორე
ინდოელთა სახელგანთქმული მოგვი-მწერალი.

რაბინდრანთ თაგორეს

ვის უმღეროდი?

მიამბე, ჩემო ძვირფასო... გამაგებინე ვის უმღეროდი?

ბნელი ღამეა!.. შავ ღრუბლებში დამარხულან ვარსკვლავები...

ირგვლივ სიჩუმეა, მხოლოდ ხეების ფოთლებში ძლივს კვნესის ქარი,.. შავ თმებს გავიშლი და მით დავიფარავ სხეულს.. მე ხარბათ მიგიკრავ გულზე და შენ მხოლოთ ჩემს გულს წასჩურჩულე რაცა გაქვს სათქმელი.

მე დავხუჭავ თვალებს და ისე მოვისმენ შენს ჩურჩულს.

სახეზე ერთხელაც არ შემოგხედავ...

შენ მხოლოდ ისა სთქვი, რაც გულში გაქვს...

და მაშინ, როცა უკანასკნელი სიტყვა შენი შეარხევს ჩემს გულს —სიჩუმის მორევში გავეხვევით ორთავენი.

ფერს იცვლის ღამეც... მოატანს განთიადი...

მაშინ ჩავხედოთ ერთმანეთს თვალებში და სხვა და სხვა გზით განვშორდეთ ერთი მეორეს. .

მიამბე ჩემო ძვირფასო. გამაგებინე ვის უმღეროდი?

მშვენიერო, მიყვარხარ!

მშვენიერო მიყვარხარ!.. და ნუ დამსჯი ამისათვის!

როგორც უცდელი ჩიტი, ისე გავები შენს მახეში...

უიმედოთ აკვნესდა გული ჩემი...

ღვთაებაო, სიბრალულით გაათბე იგი და ნუ დასჯი სიყვარულისათვის...

და თუ, საყვარელო, არ შეგიძლია შემიყვარო, მაპატიე, რომ შენთვის ვიტანჯებოდი...

ნუ, ნუ მიცქერი შორიდან ეგრე ცივად!..

ბნელ კუთხეს მოვნახავ და იქ ვიქნები...

მხოლოდ სიბნელე დამიფარავს მე სირცხვილისაგან

მომარიდე მე შენი თვალები და მაპატიე, რომ შენზე ვფიქრობდი და შენთვის ვღონდებოდი...

და თუ, ღვთაებაო, გიყვარვარ, —მაპატიე ფრთამესხმული სიხარული...

მაშინ, როდესაც აღფრთო[illegible]ბა მეწვევა, გაღიმებული სახით არ შემომხედო, რა[illegible]ნ მალე ვეძლევი თავდაეიწყებას...

და როცა სიყვარულის მაღალ მთაზე ავალ, —მოწყალებას გამოვიღებ შენთვის...

მაშინ შენც მოითმინე ჩემი სიამაყე... და აღტაცება მაპატიე...

ბრმა ყვავილი

ჩემს ბაღში ბრმა ქალმა ყვავილების ყთაიგული მომიტანა...

მე მოვეხვიე მას კისერზე და ცრემლებით ამევსო თვალები ..

გრძნობით ვაკოცე მას და თან წავსჩურჩულე: ბრმა ხარ შენ ისე, როგორც ეს ყვავილი!.. შენ თითონ არ იცი, რა ძვირფასია შენი ძღვენი!..

მხოფლიოს ყვავილი

ო, მსოფლიოვ. მე მოვწყვიტე შენი ყვავილი...

ჩავიკარ ის გულში და ეკალი დამესო.,.

და როცა დაღამდა ის დღე, ყვავილი დაჭკნა და ჩემმა გულმა მხოლოდ ტკივილი იგრძნო...

ო, მსოფლიოვ! შენ კვლავ წარმოშობ ფერად და სურნელოვან ყვავილებს...

ჩემი დრო გარდასულია უკვე...

მე ვერ დავკრეფ ყვავილებს ..

და უკუნეთ წუვდიადში მე ჩემი ვარდი არა მაქვს..

მე მხოლოდ ტკივილი დამრჩა ,ისგან!..

ლ. ძიძიგური

რად გამებუტე?

(დღიურიდან ,,ნერვების ცეკვა'')

რად გამებუტე? ნუ თუ იმიტომ რო შენს თვალებში, წუნარ დურგ თვალებში ეჭვრეტდი მსოფლიოს? ნუ თუ იმიტომ, რო უძირო, მდედაარე გრძნობის ტალღებმა შთანთქეს ჩემი სუსტი სული? ან იქნებ იმიტომ რო შენს ნორჩს ბაგეს მოვტაცე ოდესღაც, მზის ჩასვლისას, ტეის ბირას, მწვანე კოცნა?

ან იქნებ მოკბეზრდა ჩემი გულწრფელობა,— შენს დაჩვეულს ხელოვნურ ქცევას? ან იქნება კიდევ იმიტომ, რო შენს „ლამაზ სიცრუეს“ ბულ ლალებით ვისმენდი, ვკრეფდი ფერად კონებით და დავხარობდი...

და არ ვიცი რითი და როგორ დავიმსახურე შენი „მსჯავრი“?

შენ ხომ თავისუფალი ხარ, როგორც ულაბინოს ძალიერი ქარი! შენ ხომ არ შეგიხლეულია შენი ნება არავითარი სიტყვით და ფიცით! და ვინ გავალებს რასმეს?..

იქნებ შეგალახე შენი ფაქიზი სმენა ტალინ სიტყვით, ან იქნებ შეურცხვე შენი კანეიარებული, ესთეტიური გრძნობა, გრძნობა ადზრდილი ევაგიალებზე და მუსიკალურ სონეტებზე?

მაკრამ მაკას ვერაინ ვერასოდეს ვერ მიკიენებს! ბირიქით. . შენ ვითვლები მორცხვ-ფაქიზ შვილად ჩემ კოხტა საგვარელ სამშობლოში!!!

იქნება იმიტომ, რო გადარებდი ვარსკვლავებს და რომაელთა ძველ ღმერთებს? იქნებ შენც, ვით ჭვირის ჭვინეს, შეგიძლია მხოლოდ მათი სიყვარული ვისიც სძულხარ!

რა ვქნა მე არ ძალმიძს შენი შეძულება.. განა არა... ბატონო, მინდოდა, მაგრამ ამოდ! შენი სუდი ჩაგსდარა ჩემ სულს, ჩემ ლექსებს, და წარმოუდგენელია ჩემი არსებობა უშენოდ; და რაზედ ნაოლ ვიკლავდი გრძნობას, ვახარბობდი, იმდენად იშლებოდა, იფურჭნებოდა, ზვავდებოდა, და ეი ლაშის არის ჭაერთან არსად გაბიტყოს, გამაშოროს ამ ქვეყნის ამბოვებას, გამაქრილოს იმ ნეტარ მხარეზედ „სადით არც ერთი მგზავრი უკან ალარ ბრუნდებაა“?

რატომ არ ფიქრობ, რომ ჩემი სულიც, დაჩაგული კვლავ ძიებას ვერ მოაბოლებს, ოიდრე არ გაიგებს მაგ მიზეზობის უმიზეზო მიზეზს..

მართალია, სიყვარულში სიინტერესო თვით სიყვარულის პროცესი, თავლთა ბაასი, დაუსრულებელი სიტყვები, პირველი შემთხვევითი შეხვედრა, გრძნობის დათესა, მის ზრდა-განვითარება, ოცნება და მწველი ფიქრები,— დასრულება ეოველთვის ერთაკვარი შაბლონით არის დაბურული,— მაგრამ ასე უმიზეზოდ განა შეიძლება ერთის ხელჩაქნევით დანგრიო ის საზღაპრო მინარეთი ჩემს ოცნებაში რო აგიგე? ნუ თუ ეგრე უფერულად ენდა დაგვირგვინდეს ის ლამაზი წუთები, როშელნიც, ვით თვალსაგანი მანგები ჩემ გზაზე იყო მოფენილ-მოპნეული?

მართალია ადამიანის შეძულება შეიძლება სულ ტოტა რამეზე, ხელად, უცბად მაგრამ განა შეიძლება დაიდგა საზღვარი სიყვარულის და სიძულვილის შორის? განა თვით სიძულვილში სიყვარული არ ბუდობს? განა შეიძლება განსაზღვრა მათი?

არა და არა!

რად გამებუტე? მითხარი! ვინ შეგაძულა ჩემი თავი? ვინ არის ის ბედნიერი რო შეიტრა ჩემ მაგიერ შენს გულში და ბინეფდა იქ?

სამუდამოდ თუ დროებით?

ნეტა ვიცნობდე, რო მე თითონ შემეძლოს გადაგრა მაგ სიკეთის; მე წინადაწინვე კეთილისწინებდი მის სულიერ სიკარგეს და წინასწარ მეტოდინებოდა ზეკავლენა შენზე.

მაგრამ არ ვიცნობ.. და არ ვიცი როდემდი გასტანს ეგ ბატონება..

განა მე, მე არ ვიყავი შენი მესიიდუმლე, შენი მეგობარი, შენი ამხანაგი? და ეხლა რა მოხდა? ეი ბოიკარ და ვფიქრობ. ვეკითხები ჩემს თავს და პასუხს ვერ ვიღებ.

მინდა ამოვიკითხო ეს ამოცანა ჩემს ჩადებულ თვალებში, მაგრამ იქაც კარდა წარმტაცი, უხიდო მკვიდრი, შეურეველ გრძნობის სხვა ვერაფერს ვერა ვხედავ!

ჩადრმავდა ჩემი თვალები უძიდო ლაშეების გამო: თავდის სანთელს ჰგავს ჩემი სახე. ჩახმა, ჩამოდნა.

ეკეთხები ბდუმარე მაღალ კედლებს, დიდროვან შეწვანე თვალებით რო დამცქერიან, ნუ თუ მე, თქვენ შორის კაზდიდს, თქვენს მიერ დაფარულს სიცივისგან, მზისგან, წვიმისგან ნუ თუ თქვენ მოწყენა ჩემი უმწეოკედო ბავშობის, თქვენ კედლებო გაყლენთილო ჩემი სულით, თვით ჩემი ტანჯვით, მოწყენა ჩემი ბდუდარე ტრემლების, ნუ თუ თქვენ ვერ მოგაგონებთ მიზეზს მოულოდნელ გულციობისას

ან კიდე, შენ ჩემო ბიოლო, ლამაზო მისაკო, წითლად რო ჭდეიი ბრიალის ვაზაში, ჩემს მაგიდაზე!— შენ ხომ მაშინ ჩემ მკერდზე იყავი, ნუ თუ არ იცი რად შემოგვხედა მე და შენ იმან ისე მტრულად, ისე მკაცრად, ისე სასტიკად? იგრძენ, შენც ხომ დაჰხარე შენი კოხტა თავი მაშინ? რატომ არ იტყვი, რად გაგებუტა?

ეი, მიდიან, მიიხლაფლნებიან წუთები, მიდიან კრძელი ხანტი ნაბიჯებით, და მე კი ბასუხს არავინ არ მაძლევს!

მინდა მოვიკლა დრო, მინდა კავერთო!

ეი კალავიკითხ, რამდენიმე გაზეთი, ეი კეკელი მოხსენება ომის და ზავის შესახებ, ეი ახალი დადგენილებანი, ეი სამეცნიერო გამოკვლევანი, არაჩვეულებრივი რიცხვებით გაკვანძული დექტიები, არარად ექცა ჩემთვის მთელი მსოფლიოს წმიდათა წმიდა, არა დაგდება ჩემს თავში არც ერთი აზრი, მხოლოდ ლურსმანივით დრდნის ჩემ თავს, ერთად ერთი ჩაქედილი ფიქრი: „რად გამებუტე?“

ზეიკარ, ეწვეარ, ეკითხულობ თუ ესწერ, სასოწარკვეთილი, ეიკვნეტ ჩემ თხელ ტუჩებს, და თითების მტვრევით ვფიქრობ, ვფიქრობ და ვფიქრობ: რად გამებუტე ჩემო კარგო, რად გამებუტე?

მარიჯან

ტაძარი

ფმერთო მადალო! შენ გადმომხედე,
რომე ადგმართო წმიდა ტაძარი,
შიგ დაგასვენო ხატი ძვენისა,
დ მის კარებზე დაგეკიდო ზარი,—

დაგიწყო დოცვა — შენი დიდება,
მამულის მტერსა დაგტე თავზარი,
აქ ადიოხზე მოვიხმო ხალხი,
მშიერ-მწყურვალებს გაუდო კარი!

მსურს ამა დღისთვის, ფმერთო მადალო,
ოდეს ადიგოს ძმობის ტაძარი,
შიგ შეგიყვანო ივერის დედა
და სასეიმოდ ჩამოგკრა ზარი!..

ხაშა.

ჩვენი ეროვანები

მიხ. თუმანიშვილი.
(1818-1918)

ამ თვეში (1 ივნ.) შესრულდ ასი წელი მიხეილ ბირთველ. თუმანიშვილის დაბადებიდამ.

მ. თუმანიშვილი იყო ცნობილი ქართველი პოეტი, ფელეტონისტი და საზოგადო მოღვაწე. მისი ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში", და სიკვდილის შემდეგ ორჯელ გამოსცა მისმა შვილმა, გ. თუმანიშვილმა, 1881 წ. აგრეთვე დაბეჭდილი იყო უკანასკნელის „ალმანახში", „ევროპაში", „თემში", „საქართველში", და „ჯეჯილში". მისი ორი ლექსი, ჯერ არსად დაბეჭდილი, ჩვენ მოგვყავს ქვემოდ, ისინი ჩართული იქნებიან მის თხზულება-კრებულში, რომლის გამოცემასაც აპირებენ მისი შვილები ამ წელში, ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.

მისი ლექსები იყო რუსულად გადათარგმნილი მგოსანი ქალის გრინევსკისაგან და სოფ. ამირაჯიბისაგან (იხ. მისი კრებული ქართველ პოეტების ლექსებიდამ, მოსკოვში გამოცემული), აგრეთვე გადათარგმნილია პოლონურ ენაზე, პოეტის ზაბლოცკისაგან.

მ. თუმანიშვილის ლექსებზე სწერდნენ პროფ. ა. ხახანაშვილი (იხ. ეურ. „განათლება", № 2 1911 წ. და მისი წიგნი „ქართული მწერლობის ისტორია"). ივ. მაჩაბელი („ევროპა"), ი. გოგებაშვილი („თბ. მოამბე"), დ. ვედრებისელი („კავ. სლ." 1918 წ. ივნ. 1) და სხ.

მ. თუმანიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პირველი ქართული ფელეტონები „ცისკარში", მოლაყბის სახელით. ამ ფელეტონებს თანაგრძნობით იხსენიებს არჩ. ჯორჯაძე „ცისკრის" ისტორიაში (იხ. „ცნობის ფურცელში" 1911 წ. № 463). ქართული თეატრის დაარსების დროს მ. თუმანიშვილი ეხმარებოდა გ. ე ისთავს: პირველ წარმოდგენებში სუფლიორის თანამდებობას ასრულებდა, შემდეგ ქართულ სცენაზე სწერდა ფელეტონებს „კავკაზში" და „დროებაში" (1867).

მ. თუმანიშვილი აგრეთვე ცნობილი მოღვაწეა გლეხების განთავისუფლების დრო (1864-75 წ). ის იყო მთავარმართებლის საბჭოს წევრი. მისი ვრცელი წერილები ბატონყმობის ისტორიიდამ საქართველოში, ხიზნებზე და სხ. დაბეჭდილი იყო ადგილობრივ გამოცემებში („სბორნიკ სვედ. ო კავ."; „მატერიალი პოლ. ოპის. ტიფლ. გუბ." და სხ.) მის ნაშრომს ხშირად იხსენიებენ ჩვენი ქვეყნის მკვლევარნი: ბარ. ნიკოლაი, მ. კუჩაევი, ა. ყიფშიძე, ს. ავალიანი და სხ.

მისი შვილები არიან ცნობილი მოღვაწენი ან. თ.-წერეთლისა, გ. და ვ, თუმანიშვილები და სხ.*)

მისი რუსული სტატიები ამ ცოტა ხანში გამოვა ქართულ კრებულთან ერთად.

ცნობები ამოღებულია იოსებ იმედაშვილის ხელთაწერ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი"-დან.

მიხეილ თუმანიშვილის დაუბეჭდავი ლექსები

ჩანგი

მიყვარს წყნარი, ეჰა ჩანგო, ხმა შენი,
ზოგჯერ შვების, ზოგჯერ სევდის მომფენი:
სიმთა შენთა ნარნარ ხმისა მომსმენი,
განიღვიძებს ტკბილი გულისა სენი.
შენ განატკბობ, შენ განაკრთობ სმენასა,
ოდეს იწყობ ნაღვლიანსა ყღერასა,
შენ შეარყევ ჩემის გულის ალყასა
ღა პასუხად აღმოაფრენ ოხვრასა.
სული ჩემი შეეთვისა შენს მღერას,
შენ მას ალხენ, უნახევრებ კაეშანს,
და იგი შენ, ვითა ერთგულ მეგობარს,
აღგიარებს დაფარულსა ხვაშიადს.
მსწრაფლ დამეტკნა სიხარულის ყვავილი,
მსწრაფლ დამეტკნა ბაგეთზედა ღიმილი:
მეც ოდესმე ვიყავ ტრფობით აღსილი,
და გულს ტკბილად აღმიგზნობდა სურვილი.
აწ საამო სად წარვიდა სურვილი?
აღარ მოვალს იგი ჟამი ნეტარი?
გამქრობია სასოების ლამპარი,
და მწვევია ბედით ჰმუნვის ისარი.
გულსა შინა სხვა არიან გრძნობანი:
ვისღა ვანდო საიდუმლო როტვანი?
რომ შესწყვიტოს ცრემლთა ხშირთა დენანი?
რომ განსდევნოს შუბლით აწ კაეშანი?
და რა დამშთა მე წუთის სიცოცხლისა?
ბინდი—ნაცვლად მხიარულის დილისა,
მაგრამ ჩანგო, შენ ხარ ლხინი გულისა,
რას ვიგონებ ქარიშხალსა განვლილსა!

ასტრას*)

ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის!
სადაური, სად მოსულხარ ან რისთვის?
უსულო ხარ; სულიერი, ვინ იცის?
ეს სახელი არ ჰსმენია არავის?
ნუ თუ ხარ შენ ანგელოსი ციური,
ან ყვავილი უსახელო ველური?
ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა?..
მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.
მოფრენილი შორეულისა ქვეყნით,
კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კაგრის ხმით,
ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოებ,
მიუხვედრის, ასტრავ, შენის წოდებით.
გაისარჯე, წარვედ შენსა დამწერთან.
ოდესცა სცნ[illegible] შენსა სახელსა მისგან,
მაშინ გაქვნდეს უეჭველი იმედი,
რომ იქნები წაკითხული ყველასგან.

წინანდალი, 15 ივნ. 1888 წ.

*) ამ ლექსის საგანს ეხება ნ. ბარათაშვილი თავის წიგნში, რომელიც მიწერილი იყო მისაგან მიხ. თუმანიშვილთან (იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებაში).

ვიქტ. გამყრელიძე

ჩვენი სცენის ერთს ჩუმს, ნაამგდარს და ბუნებით ნიჭიერს, თავის თავადს ქურუმს, ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძეს დღეს სახემწიფო თეატრში 30 წლის ნამოღვაწეების სამაგიერო დღესასწაულს უმართავენ. ვინ არის ვიქტორ გამყრელიძე?

ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძე დაიბ. სოფ. აწყურში თელავ. მაზ. 1866 წ. იანვრის 9 ას. მემამულის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მიღო ოჯიხში, შემდეგ სამოქალაქო აქედან შევიდა საოსტატო ინსტიტუტში. ბინა ჰქონდა იქვე პანსიონში. იმ ხანად სასწავლებელში შესდგა ერთი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომელთაც დაიწყეს ქართული წარმოდგენების მართვა. აქ ვიქტორი ყოველ წარმოდგენა-კონცერტში მონაწილეობდა. შემდეგ ამ ჯგუფმა დაიწყო სასწავლებლის გარეშეც წრმოდგენების გამართვა ჩერქეზი შვილის ავეალის ქუჩ. ავალიშვილის სახლებში ყოველ კვირა მართავდენ წარმოდგენებს. ამ ჯგუფში ერივნენ დ. აწყურული, კ. შათირიშვილი; ნ. ერისთავი, 1884-5 წ. შევიდა დიდ სცენაზე. იმ წელიწადს ანტრეარიზა ჰქონდა ა. ნებიერიძეს. მას შემდეგ განუწყეტლივ მონაწილეობდეს დასში. 1907-წლიდან. სათ ანბანკში შევიდა და დროთ-გამოშვებით მონაწილეობას 1895-6 წ. ფბილისსა და ქუთაისში, 1898 წ, ვ. მესხიშვილის დასში მონაწილეობდა. სამი სეზონი (1903. 1906) განუწყვეტლივ მსახურებდა ქ. ქუთაისში. განსუკთრებით ისტორიულ და ჩვენებურ პიესებში ისახელა თავი,—დრამასა და კომედიაში; მისი როლებია სვიმონ ლიონიძე, ოტია ქოლია, ანანია, გაბო, გიჟუა და სხ. სახიობა მისი ბუნებითია. ძალდაუტანებელი, არა ყალბი, ქართული ორიგინალური სხიობის განვითარებაში ვიქტორსაც ფრიად დიდი წილი ეძევს და ამ გარემოებს ქართული თეატრის ისტორია მუდამ მადლობით მოახსენიებს. დაე, ქართველმა ახოგადოებამ ამ თითქმის 35 წლის მოპირონახულეს დღეს ერთხელ მაინც უთხრას მადლობა, სალამი და დღეგრძელობა ჩვენი ეროვნული სცენის მშობლიურ სულს მტრებელ ვიქტორს!..

იოსებ არიმათიელი.

სერგო მ. ფორჭოლიანი

ეროვნულ საბჭოს ქვესტორი

იურისტია, პორუჩიკი ახალგაზდრობიდანვე მონაწილეობდა ს.—დ. პარტიაში თავი ისახელა ილ ჭავჭავძის გარდაცვალების დროს თანამშრომლობდა ლ. დარჩიაშვილის „ჩვენ კვალში“ და სხ. ჟურნალ გაზეთში. და ძველი მთავრობისგან იდევნებდა რევოლიუციის დიდი ამაგი დასდო. იყო წევრად პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრად და ოზურგეთიდან თათრების გარეკვაშიაც მონაწილეობდა. ამიერ კავკასიის სეიმში. იგი ქვესტორად აირჩიეს. რომელ თანამდებობასაც უკვე საქართველოს ეროვნულ საბჭოში ასრულებს და თვისი მუყაითი მუშაობით ჩვენს ეროვ. საბჭოს გარეგნულად წესის დაცვით დასავლეთ ევროპიის პარლამენტს უახლოვებს.

ი სარაჯიშვილი

ოპერა „ქრისტინე“-ს

ალმასრულებელნი:

ო. კალანდაძე-აგასოვისა

ბ. კურბატოვი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს (პარლამენტის) თ ვჯდომარის ამხანაგებ დ არჩეულნი:

იოსებ ალ. ბარათაშვილი
(სოციალ-ფედერალისტი)

ექვთიმე თაყაიშვილი
(ეროვნული დემოკრატი)

გრ გოლ ივანესძე აბელაშვილი
საქართველოს რესპუბლიკის
რკინის გზის მოძრაობის უფროსად
არჩეული იურისტია.

სერ. დავ. ჯაფარიძე
საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა მმართველი.

ალექსანდრე გრ. კანდელაკი
საქართველოს რესპუბლიკის
რკინის გზის უფროსად არჩეული.
ინჟინერია.

ქორწილი

ალეგორია სამ სანახაობად.

სურათი მეორე *

ქართველშიგე, იმავე სახლში, მეორე მხარეს, აივანი გადაჭეურებს ფოთოლ შეუვლთადებულ ბადეს მოსჩანს ვაზის ხვეულები, ხეძვის, ფეიერ-მოდებულ მსხლის, ვაშლის და ლიმონის ხეები. გადატეხ ლი ლობე. აივნის მიმდინარეობა მოფარებულია. ნაგვიანევი სადილი კოთავებულია. მოისმის სასანდრის ხმა, მონადიმეთა ხმაურობა. თითქმის კამომთვრალი ნაქეიფარი მონადიმენი კამოიშლებიან. ბინდდება, მთვარე ადის ფრად ამოწყოფს წყვრს, მძიმე-მძიმედ შეუჩერებლივ ამოდის და სცენა თანდათან ნათდება.

1

თვ. ტიტიკო, გოლა ინჟინ. მარიამი, ძნ. სიდონია, სანდრო კახელი, არამი და მოქეიფენი.

თვ. ტიტიკო ჰქრება ჩვენი სიცოცხლე,—
ბარემც გავქრეთ ლხენითა,
თუ ვიშობეთ ღვინოში,
ისევ მოვკვდეთ ღვინითა!
ამა, ერთი თამაში,
ჰე, ბიჭებო განზედა,
ვინ აჯობებთ ცეკვაში,
შეგეტყობათ ტანზედა!..
(ცეკვა ნაურუდი, ბადდადური).
თვ. ტიტიკო მარიამ ქალს დამიძახეთ
და ტაშისთვის დაემზადეთ!
სანდრო ამა, დაუარე,
რო მოხიბლო ქართლის არე!
(სანდრო კახელი კამოდის)
ჰა, ლეკური, ლეკური,
ტაშ-ტაში ერთხმური!
(**სანდრო დაიწყებს ცეკვას, კამოიხმობს მარიამ ქალს, რომელიც აივნის ნაპირასა ადგას საერთო მოწონება, ვაშა-ტაში**)
კოლა ინჟ. ღვთაება ხარ, ჰაეროვან ქმნილება!
ვინ შეგძინა ტანის ესდენ ცვლილება?
თვ. ტიტ. ვიცი ახლა დაიწვები ეშხითა,
თუ მარიამს თვალი მოჰკარ ლხენითა! —
(**არამს**) არამ, ნუ ხარ ჰარამი,
მოიღხინე რჯულზედა,
გადირეცხე, თუ რამ გაქვს,
ჟანგი-ჟუნგი გულზედა,
ქალმა გითხრა უარი? —
მეაქ ალარ მიგულე? (სიდონიას)
ჩემო რძალო, რას ნიშნავს
ქალის ასე ურჩობა?
სიდონია რა ვქნა მაზლო, შენც იცი,
მე არ მიყვარს ხუმრობა,
მაგრამ გაქრეს ჩვენი დრო,
არის თავისუფლება,
და ძალას ვერ დავატან,—
ეს არს ქალის უფლება.
თვ. ტიტიკო ქალს ვინ მისცა ის ნება
ჰქმნას, რაც მოენებება?—
კაცის თავისუფლება,
ქალის დამორჩილება,—
აი ჩემი კანონი,
თუ ხარ სწორედ გამგონი.
მე ვიცი და იმანა,
ვნახოთ თუ არ ინანა!
მიაყოლე იმდენი,
რომ იწყევლოს თვის დღენი.
თუ შენ ვეღარ დაჰსძალე,
მერე მე დამაცალე!
როგორ? კახეთიდანა,
მიტო მოვედ აქ განა
ჩემი სტუმარ-მოყვარეებით,
ჯერითა, დიდი კრებით,
რომ ქორწილის მაგიერ,
ჯავრში ვიყო ამიერ,
და სიბერის კარებზე
ვერ ვსთქვა მრავალჟამიერ?!
სიდონია ღმერთი არის მოწამე,
არა მძინავს დღე-ღამე,
მუდამ ვეჩიჩინები,
ჯავრით განაწყინები,—
რო მოეგოს გონებას,—
მაგრამ მისდევს თვის ნებას..
წავალ, კიდევ ვეცდები ..
ღმერთო, ლამის ვციტდები.

(**კადის. გოლა მარიამს ელაპარაკება. სხვები თავ თავიანთთვის მუსაიფობენ**)

არამ. კნიაზ, შენი ხათრითა
დაბმული ვარ სიტყვითა,

*) პირველი სურათი დაიბეჭდა ამავე წლის „თ და ც.“ № 1, 2 და 3-ში.—მეორე სურათის დაბეჭდვა შეჩერდა ტექნიკური მიზეზებით. რედ.

უნდა მოგყვე, რა ვუყო,
თუნდ ცა მოშსკდეს რისხვითა!

თავ. ტიტ. (გვერდზე ჯიუვანს).
ცოტა ფული მჭირდება,
თუ არ გაგიჭირდება..

ანრამ. სული მთხოვე—მზათა ვარ,
თავს მსახურად გახლავარ!

(ეძლევა 100 მ. ერთად საუბრობენ ჩუმად).
(მოისმის ურმული შორიდან თანდათან ძლიერდება, მერე თან და თან მიწყნარდება.)

გასწიე ხარო, გასწიე,
მუხლი ნუ შეგიშინდება,
ალმართს გადავალთ, ტყეს გავალთ,
გზა მალე გაგვიკეთდება.
შენის ქედითა ოფლსა ვღვრი,
ნაოფლი ჩვენი სხვ ს რჩება,
მაგრამ გასწიე, ნუ შიშობ,
ბედი ჩვენც გაგვიღიმდება...
გასწიე ხარო, გასწიე,
მუხლი ნუ შეგიშინდება,
ბნელში სხვისათვის მშრომელთა
დღენი ჩვენც გაგვიბრწყინდება!

(ამ დროს ეველანი სულგანაბულნი უსმენენ).

თავ. ტიტ. (ურმულის ხმა რომ მისწყდება)
სიყვარულის ღმერთისა
შენ არ იცი აფალი,
სწორედ მაშინ მოგხედავს,
როს გგონია გამწყრალი.
ლაპარაკი არ გვინდა,
ლხინის ღმერთი მოვიდეს,—
მხოლოდ ის ვქნათ ყოველთვის,
სადაც ვის რა მოგვიხდეს.
საზანდარსა მომიხმეთ,
ლხინი მინდა გულითა,
თანაც ქორფა საუზმე
და ნუნუა კულითა!.

(შუმოდის საზანდარი).

აბა, ერთი გაჰკარი ჭიანური და თარი!

საზან. სიცოცხლე მწყურის სიკვდილს ვემდური,
წუთისოფლის ვარ ცოტა ხნის მდგმური,
სიხარულს ვეძებ, მსურს მის სადგური,
მაგრამ არა სჩანს, მოვსტირი ერთი.
ლამაზო, ღღე-ღამ შენ მელანდები,
არ მასვენებენ შენი ლანდები,
უშნოდ ვქრები, და ვიბლანდები,
ქალო დამიხსენ, იწამე ღმერთი!..
მხოლოდ შენშია ჩემი არსება,
შენით მთლიანი იშვება ნება,
უშენოდ ჩემი გზა ითარსება,—
სიკვდილ-სიცოცხლის ხარ შემაერთი!..
ტიტიკო აბა, მარიამ შენი სიმღერა,
რომ აღიტაცო გულისა ძგერა!.

(სხვებიც სთხოვენ).

მარიამი. მე დასაბამი ცხოვრების წყარო,
ჭკვიანთ საამო, გიჟთ სამწუხარო,
ახლო ვარ, ახლო, გულ გასახარო,
შენ კი მეძიებ. ველსა ჭრბი შორა!
სატრფოვ, შენს გარე მკვდარია გული,
შენის ყრუ ყოფნით ვარ დადაგული,
გულშია ხარობს ხე შენით რგული,—
შენ კი ნეტავი ვინ განგაშორა?
ქარმან ჩრდილოსმან სისხლი გაჰყინა,
უცხო ტყვეობამ გადნო, გაწყინა,
ხელ-ფეხ შეკრული ვერ ვიძვრი წინა,—
შენ კი ვის ეტრფი, ვინ დაგაშორა?
სამოთხეს ეძებ?—მოვედ მიხილე,
სიცოცხლე გწყურის?—მაშ განმიხილე,—
ჩემს უკეთესი სხვა ვინ იხილე?—
თუ არ გამცვალე, მაშ ვინ მოკორ ?!

(საერთო მოწონება).

კოდა ინე. მალამო ხარ გულისა
სევდით დაჩაგრულისა!
ცოცხალი ვარ, თუ მკვდარი,
დამეკარგა დავთარი,—
მე ამ ქვეყნის ალარ ვარ,
მეშვიდე ცას დავქრივარ!
ნება მომეც გემონო,
თუნდ უფალიც გეგონო!..
ნეტა ვინ ხარ ასულო,
სიდან საით მოსულო!

მარიამი. მე უბრალო ქალი ვარ!
ალმასხანის ლობილი,
ბერეთით მოსული,
სასტუმროდ ჩამოსული!
რო მიწონებთ ე მაგრე,
მოგდისთ გრძნობის უხვება,
თორემ გლეხის სიმღერას
ვინ სწავლული აჰყვება!
შინაურად ალზდილი,
მქარგავი და მკერავი,
ოჯახობა-კერისა
მეთვალყურე მზვერავი.
მე სად მფერობს სწავლულის

მალალმფრენი სიტყვებით?!
ახლაც თქვენის ხოტბითა
სირცხვილისგან ვიწვები..

ბოდ. ვინც გსუ:ს იგი იყავი,—
თუ ხარ თავისუფალი,
დღეის ამის შემდეგა
შენ ხარ ჩემი უფალი..

თავ. ტიტ. „დამწვარი ვარ ისე როგორც აბედი!“
ეს შენზეა გამოჭორილ დანყვედი,
საზანდარო, ერთი კიდევ დაუკარ
და სიტყვის ხალხს მაგით პირი აუკარ!

(საზანდარი დაუკრავს. ბოდ და მარიამი ერთად კაიფდიან ბალბისკენ მუსაფეთ. მთავარე თანდათან ამოდის. გამოჩნდებიან: ენ.. სიდონია: ალექსანდრე ალექსანდრესძე, ერთ ხარეს რუს გენერალი, მეორე მხარეს შვილი მისი ნიკოლაკ. რუს გენერალი რა. დასაც ელაპარაკება გაცხარებით სიდონიას. ტიტიკო დგინით სავსე ჯამს მიაწოდებს ჯამს. არამი დაიდოტებს, ხერთან მიიტანს, მაგრამ ძალზე უარ ზეა—არ შემიძლიან დალევაო, ბოდს მაინც დალევს, უსიამოვნება შეემჩნევა, ანიშნებს, გავიდეთო. ტიტიკო საზანდარს აშლის და ერთად გავდენ და კვრით. ტიტიკო და არამი ხელი-ხელ გადახვეულნი მისდევენ საზანდარი რო მიეუწდება, მოისმის სიმღერა „ზამთარია.“)

რუს გენერალი. (როცა სიმღერა იეუწდება).
კეთილშობილ ქართველსა
მუდამ ჰფერობს გმირობა:
ალთქმა საქმედ აქციოს,
შეასრულოს პირობა!
დამერწმუნეთ თქვენსა ქალს
მე წამართმევს ვერვინა,—
კეკლუც საქართველოში,
საუკუნოდ მაქვს ბინა!
აგერა მყავს მეც შვილი,
გადვიხადოთ ქორწილი...

(კარებან მოისმის იეა მწუსარე ჭიანური).

სიდონია. (მოთქმით)
თქვენი ვიყავი მუდამ ერთგული,
თქვენთვის მიცემდა ბეჩავი გული,
თქვენს ჭირშია ვარ მუდამ დაგული,
თქვენს იქით ყოფნა მე არა მწამდა,
მე არა მწამ.ია იცის ეფალმა!
მაგრამ დასწყევლოს ქალის გაჩენა,
ის მხოლოდ თავის აზრს ემონება,—
ვინც გულშია ჰყავს— ის ეგონება,—
მუდამ ეს ფიქრი მეც გულს მიბამდა,
მეც გულს მიბამდა მაცხოვრის ძალმა!..
ქალს ვუნატრიდი ერთსა საქმროსა,
დღეს-კი სამი ჰყავს შეხვდე დროსა:
თუ ჯს ამჯობინებს ლალსა და ბროლსა,
გლეხის ბიჭს რჩეობს, სხვა აღარ უნდა,
სხვა აღარ უნდა უმტყუნა თვალმა!.
გირაოდ ვყევართ ხელში არამსა,
არ დაგვანებებს არც ერთ ალაბსა,
ქალი-კი ჰმონებს გლეხს ალმასხანსა,—
ბარემ ჩამქოლეთ, მკათ ქვა და გუნდა,
მკათ ქვა და გუნდა, თუნდ მკვეთოს ხმა ლმა!..

თავ. ტიტ. (ამ მოთქმას ეურს უგდებდა შორიდან)
ეკულმართია ბედი წყეული,
ძლიერ ბევრი ჰყავს გადარეული:
ლამის ქორწილი მე ვერა ვქამო,
ველარ ვიხილო დღენი საამო!

ნიკოდ. ხმალმა გადასჭრას მაშ სამართალი!
მით გამოჩნდება ვინ არს მართალი!

რუს. გენ როგორ, ციმბირსა მისთვის გა
ვგზავნე,
მისთვის უჩინე ცივი სავანე,
რო მისი სული აქ ტრიალებდეს,
და ქალისა გულს ატრიალებდეს?!
მაშ ჩვენ ქთვენ სახლში არ გვედ-
გომება,
რადგან თავადი გლეხს ეტოლე ძა

ნიკოდ. ვაპარს მათრახი, გლეხსა პანღური!
ეს სასახლეა ჩემი სადგური.

თავ. ტიტ. (ნიკოდკას).
ვინ დაგიხურავს მითხარი კარსა,—
ვინ პირწყეული გიბედს უარსა?—
ოღონდ გაიკარ შენ ჯიბეს ხელი,
მუდამ ვიქნები შენი მშველელი,
და თუ ნათელა არ შეგაბერო,
არ ვიყო შენი სალმის საფერო!

ნიკოდ. ვაშა ტიტიკო, სიტყვა გაქვს ზდილი,
ყოფილხარ მართლაც თავადიშვილი!
მიიღე ჩემი ხმალი, ქონება,
ოღონდ განკურნე გული, გონება!.

იოსებ იმედაშვილი

გაგრძელება შემდეგ.

ორი ვაჭარი.

(მელქუა გაზეთს კითხულობს,
ყაზარა სკამზე თავს ჰქინდრავს)

მელქ. ყაზარ! რა ღმერთი გიწყრება, რა დროს ძილია?

ყაზარა (თავს აიღებს) მაშ რავქნა, მელქოჯან, საქონელი არ არის, არც ვაჭრობა.

მელქუა. კაცო, რის ვაჭრობა, რა საქონელი? გესმის რას ამობენ?

ყაზარა (შეშინებული) რაო, თურქებით ხომ არ შემოსულან? [წამოდგება და აქეთ იქით იცქირება]

მელქუა. თურქები კი არა, უარესი.

ყაზარა. გინდაგამაგიუო? თუ გინდა მეც უქუდოთ არმავირში გავიქცე? ჰა... სთქვი რაღას მაწვალებ?

მელქუა. ამბობენ ვრასტან დგებაო.

ყაზარა. (დამშვიდებით) ეჰ. მეც არა ვსთქვი რა ამბავია მეთქი. არა და. მაგაზე მეტი ვერა მოიგონერა?— ერთი მამაჩემი გალუსტა ადგება, მეორე ვრასტანი. (იცინ)

მელქუა. ყაზარ ნუ ილრიჯები. აი ჩვენი სომხური გაზეთში იწერება, ნახე რაღა? (აჩერებს ხელში გაზეთს, ისიც კითხულობს)

ყაზაოა. ვა მე ვერაფერი გამიგია. მერე, ჩვენი რუსეთი ყაბულია? (პაუზა) არა და, ძალიან თავს წავიდნენ და! ახ. ერთი ბალშევიკები მოსულიყვნენ, აჩვენებდნენ როგორია ეგ რაღაც საქართველოა.

მელქუა საქმეც ეგ არის, ვერ მოვიდნენდა. ჩვენ ამ სხვის იმედებით ვართ და ლამის სულ გაგვეტლიტონ. ჯერ ვიძახდით: ანელია ჩვენია, ჩვენიაო. მაგრ.მ რა გამოვიდა, ვერაფერი გვიშველა. ეხლაა და, ამ რუსეთის იმედებით ვსადილობთ. ეს ოხერიც ისე ფინთათ წაიქცა, რომ არ ვიცი როდის ადგება

ყაზარა არა და. ნეტა ვისი იმედი აქვთ ამ ოხრებს რომ ნეზავისიმები ხდებიან. მერე ესთიფლიზი, ხელიდან უნდა გაუშვათ.

მელქუა. მიდის რაღა ... არა და, რა ჩვენი საქმე იყო, რომ დაშნაკელებს მავდევდით: ჰაიასტან.. ჰაიასტანო ნეტა მენახოს მაინცა სად არის ეს ჰაიასტანი პაპაჩემი, მამჩემი ამქალაქში შაქნილან, მე რავიცი ჰაიასტანი რომელია? ეს კარგია რომ იმის ძებნაში ეს ქალაქიც გვეკარგება?!

ყაზარა. ახ რატო მე არავარ დამნაკლების დიდი!

მელქუა. მერე რას იზამდი?

ყაზარა. ეგ მევიცი, რასაც ვიზამდი.

მელქუა. მაინც რას სზამდი?

თქვი რაღა, შე ოხერო: ეგეც ხომ ყადაღა არ არიის? ეხლა ხომ სლაბოდნობაა... რაც გინდა თქვი!.. სხვა არა იყოს რა, მე ზოგიერთა გაზეთის კაცებს ვიცნობ. თუ კარგი რამე იცი ხელათ უთხრათ და ისინიც ყველაფერს იზამენ...

ყაზარა. რას ვიზამდი და... აი აქრომ გერმანიის კაცია ჩამოსული კეზერია თუ კაზერი...

მელქუა. ჰო... ჰო... ამოშენ დიდი ვინმეაო!

ყაზარა. ჰოდა. მივიდოდი იმასთან სანამ ქართველებს არ მოსვლიათ თავში.

მელქუა შენ რა იცი! ეგებ მოსვლიათ კიდეც.

ყაზარა მაინც მოვიდოდი და ვეტყოდი: კაიზამჯან!!. ერთი თქვენი ემე ვილგმელმას დეპეში მიეცი, რომ ჩვენ თქვენი თავი, ძალიან გვიყვარს, მოდი და პატრონობა გაგვიწიე მეთქი!

მელქუა ეგ კარგი რამ გიფიქრია ყაზარჯან, მაგრამ ბალშევიკები, რომ გაიგებენ ხომ ხათა გამოვა!

ყაზარა. რას გიზამენ?

მელქუა. შენ რა იცი! ეგებ მოსვლიათ კიდეცუ

მელქუა. ვა! ჩვენ რომ არას გვიზამენ, იქ ცოტანი არიან ჩვენები წასულები?! ყველას სამწვადეთ ააგებენ და ისე შეჭამენ.

ყაზ რა. ეგეც მართალია მაგრამ მაინც კარგი იქნებოდა, რომ როგორმე მოგვეხერხებინა რას იზამ! როცა ძალა არა გაქვს უნდა ხერხი იხმარო... (ამდროს გამოირბენს მეგაზეთე და ყვირის)

მეგაზეთე: ცხელ ცხელი ამბები! ცხელ ცხელი!

ყაზარა. რა ამბავია ბიჭო! რის ცხელი ამბები, რა გაყვირებს?

მეგაზეთე. ვა ვა ამხანანაგებო! ცხელი და რა ცხელი!.. ცხელია მაშ რა არი? საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

მელქუა (თითქმის შიშით) როგორ თუ დამოუკიდურად?

მეგაზ. ისე ეხლა საქართველო თავისუფალია აღსდგა!

ყაზარა. მაშ ისევ იქნება, როგორც ნეფე ერეკლეს.

მეგაზეთე. უფრო კარგათ, უფრო კარგათ! (თან გარბის ყვირილით)

ყაზარა. (დიდხან გაშტერებული) აი, ეხლა კი მოდი და ვისი ტალახიდან ამოვიყვანოთ. მაშ ჩვენ რაღა გვეშველება?...

მელქუა. არა და. ერთით ახია ჩვენზე. გაუშვი კარგათ გვეცხოვრა ამ ქართველებთან? ათასნაირ სკამებზე ვისხედით და ეხლა მგონი ერთი დანაც გადმოვარდეთ.

ორი.ე. (ერთად) ვაი ჩვენ დღეს. აჰა. ესეც შენი: დაშნაკცაკან; დაშნაკცაკანი...

სანდრო ბაკრაძე

სახელოვან მეირთა

(კაპ. ს. შავგულიძის, პრაპ. დ. ვანიძის, ჰორ. ა. ხარაიძის და კაპ. ონ. დოლიძის ხსოვნას.

დიდება გმირნო თქვენს გმირულ სახეს,
დიდება გმირნო თქვენ და თქვენ დედებს,
დიდება მათ რომ თქვენ გამოგსახეს
და დაგამგზავსეს ერეცხლისა ბედებს;
დიდება თქვენსა ერთსულოვნებას,
შამუდისადმი დიდ სიყვარულსა,
რომ არ დაჰყოფით თქვენ სხეულთ ფნებს
და შეეწირეთ მამულს ტანჯულსა!

ერეკლე უანჩელი.

მუსიკა და სახიობა

ჩვენს სამშობლო მუსიკას ეროვნულ მონობის ხუნდები მოეხსნა და ეროვნული სამუსიკო თვით შემოქმედება ნელინელ ფრთასა შლის. ჩვენს დედაქალაქში თავი მოიყარეს ჩვენმა კომპოზიტორებმა დ. არაყიშვილმა, გ. ბალანჩივაძემ, ნ. სულხანიშვილმა, კ. ფოცხვერაშვილმა და მუშაობა გააჩაღეს: თითოეულმა მათგანმა უკვე გამართა კონცერტი ანუ თვისი ნაწარმოებნი საზოგადოებას მოასმენინა. თითოეული მათგანის შემოქმედება, მუსიკის ხასიათი ერთი მეორისგან საკმაოდ განსხვავდება, ხოლო ყველა ერთად კარგ მასალას წარმოადგენს ჩვენის სამუსიკო ხელოვნების ასაღორძინებლად.

დ. არაყიშვილის სამუსიკო ნაწარმოებთ უკვე იცნობს ჩვენი საზოგადოება: კომპოზიტორს ფოტოგრაფიულის სინამდვილით აქვს აღნაქვსული ვილო და ხასიათი ჩვენის მუსიკის. თუ ბედმა გაუღიმა, ეს ჩვენი მუსიკის დიდი ოსტატი სამშობლოში დატრიალდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მშობლიურ ჰანგთა პირისპირ მოსმენა და მათ იდუმალობათა შეცნობა კიდევ უფრო გაალრმავებს და გაამრავალფერადებს მის შემოქმედებას. დრო საყვარელი კომპოზიტორი შეუდგეს სრულ ნაწარმოებთა შექმნას, თორემ ნამცეცებით სული ვერ გაძღება: აგერ თითქმის სამგზის გაიმართა მის ნაწარმოებთა საღამო და სამიგეჯერ ნაწყვეტებისა.

კ. ფოცხვერაშვილმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა რაოდენი ორგანიზატორული უნარი შესწევს. მუშაობს მეტად აუტანელ პირობებში და მიუხედავად ამისა მაინც შესძლო საერო ჰიმნ-საგალობელთა კონცერტების გამართვა (ივნისის 2 საქართველოს სახელმწიფო თეატრში, ხოლო იმავე თვის 8 სახალხო სახლში). ორივე კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო და დიდის პატივისცემით შეხვდა. კ. ფოცხვერაშვილი რავდენათაც მუსიკოსია, იმდენად იდეური მუშაკი-მქადაგებელი: სამშობლო მუსიკის გავრცელებას იგი სიტყვიერი ქადაგებით უფრო ფიქრობს და ამიტომაც არის, რო მისი კონცერტების დროს უფრო მეტი სიტყვა-ლექცია ისმის. მუსიკოსი-კი, ჩვენის აზრით, უფრო მეტად თავისი შემოქმედებით, თავისი უდიდესი ენით—მუსიკით უნდა მეტყველებდეს,—განა სიმღერა-გალობაზე უფრო ძლიერი სხვა რომელიმე ენა მოიპოვება? თუმცა ყოველივე მისი ნათქვამი უადგილო არა ყოფილა და ბევრი რამ გადასცა საზოგადოებას. კომპოზიტორმა მოგვასმენინა ჰიმნი—დიდება და ლოცვა **პირველი** ნიწარმოები გმირული, მტეკარა აღმაფრთოვანებელია, შიგადაშიგ თითქო უცხო მუსიკის გავლენა ემჩნევა. **მეორე**—ლოცვა უფრო ლბილია, სასოების მომგვრელი. საზოგადოებამ ჰიმნი გაამეორებინა და დიდის ტაშით დააჯილდოვა კომპოზიტორი. ამავე კონცერტზე კ. ფოცხვერაშვილის თხოვნით მ. ბალანჩივაძემ შეასრულა თავისი ჰიმნი. ეს ჰიმნი უფრო დამუშავებული, უფრო ნაზი გამოდგა. შეატყობდით, რომ ორი სხვადასხვა ხანის ჰანგი იყო: ერთი კ. ფოცხვერაშვილისა—რევოლიუციონური ხანის, დემოკრატიის გამძლაგრების, მეორე მ. ბალანჩივაძის—მშვიდობიან დროის, სალონურ-არისტოკრატიული.

ნ. სულხანიშვილი ძლივს ვიხილეთ თავის მართლა და ეროვნული კონცერტით, რომელიც გაიმართა ქართველ მხედართა კავშირის თაოსნობით. მოვისმინეთ ჩვენთა კომპოზიტორთა—დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ზ. ფალიაშვილის, ა. ყარაშვილის, ერ. ჯაბადრის, კ. ფოცხვერაშვილის, და თვით სულხანიშვილის ნაწარმოებნი. ამ საღამომ გვიჩვენა, რავდენად მშობლიურია უ ხო გავლენას აცილებული შემოქმედება: ნ. სულხანიშვილის შემოქმედების ნიმუშები ისე ერკვიოდა დანარჩენთა ნაწარმოებთ, როგორც ანკარა წყაროს ზეთშერეულ მდინარეს. საზოგადოებას განსაკუთრებით მოეწონა ნ. სულხანიშვილის „მესტვირული", საზოგადოების თხოვნით გამეორებული, „გუთნური" და ,,სამშობლო ხევსურისა'', ერეკლე ჯაბადრის ,,სული ობოლი'', მართლა და საუცხოვო რომანსი, და კ. ფოცხვერაშვილის ,,მთაწმინდა ჩაფიქრებულა''. ნ. სულხანიშვილმა გვიჩვენა თავისი ნიჭის ძალა და შრომის უნარი, მაგრამ მასთან დაუდევრობაც: ასეთი ბუნებითი მარგალიტი დღემდე ვერ გამრავალფერებულა. დაე ჩვენმა საზოგადოებამ ახლა მაინც იცნოს მისი ბუნებითი ნიჭის სიუხვე და სათუთად მოეპყრას, რომ ინაყოფოს: მისთვის მარტო ის მხურვალე ტაში არა კმარა რომლითაც შეხვდენ. კერძო მომღერალთა შორის აღსანიშნავია ქ-ნი კალანდაძე-აგასოვისა, რომელმაც მშვენიერის მომხიბლავის ხმით შეასრულა ერ. ჯაბადრის რომანსები, განსაკუთრებით ,,სული ობოლი'', და სიონის მთავარი სალარიძე: აი, სწორედ ამაზედ ითქმის—სიმღერა-გალობის ღმერთმა თავისი კალთა დააბერტყაო: მრავალ საქცევიანი და მომხიბლავი ხმა მისი თითქმის მთელ გუნდს ჰფარავდა; საპატიო ყურადღება დაიმსახურა ახალგაზდა მომღერალმა ბუმბურიძემ,—მიუხედავად იმისა, რომ ვ. სარაჯიშვილის ,,ავადმყოფობის'' გამო, უცებ გამოვიდა. მშვენივრად იმღერა ,,მთაწმიდა ჩაფიქრებულა'' და სხ. ხმა ტკბილი აქვს, თითქმის დამუშავებული, ნაზი და საამო სასმენი. თავი კარგათ უჭირავს და მომავლისათვის სანუგეშო იმედს იძლევა. ვ. ლორთქიფანიძემ ფხიანად შეასრულა დ. არაყიშვილის ოპერა ,,ზოთა რუსთველი''-დან ,,ხოლო ,,ნეტავი ქება''.—საზოგადოება ყველა აღმასრულებელთ ტაშით აჯილდოვებდა. გუნდი? გუნდი სუსტობდა, და არც საკვირველია გადარუსებულ გაუკუღმართებულ ხმათაგან განა მშობლიურს ბრისმენ რასმეს?! ნიშნები-კი ემჩნევა, რომ ბეჯითი მუშაობით თვით ეს გუნდიც სასურველ ნაყოფს გვიჩვენებს. კათალიკოს-იც მობრძანებისა და წაბრძანებისასაც გუნდმა შეასრულა ნ. სულხანიშვილის მიერ ამ შემთხვევისათვის დაწერილი მისასალმებელი ,,ტონ დესპოტინი". საღამოს დიდძალი რჩეული საზოგადოება დაესწრო: აქ-ბრძანდებოდენ კირიონ კათალიკოსი, ლეონიდ მიტროპოლიტი, საქართველოს მთავრობის წევრნი და სხ.

ქართველ მხედართა კავშირი დიდი მადლობის ღირსია ასეთი ეროვნულ კონცერტის გამართვის გამო,—ვუსურვოთ მეტი უნარიანობა.

წინამძღვარ—ი

ოპერა ,,ქრისტესნე'' ქართულ კლუბის სცენაზე როგორ შეასრულეს?

ვიდრე შემსრულებელთა შესახებ ვიტყოდეთ რასმეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კლუბის სცენა საზოგადოთ წარმოდგენებისთვის და განსაკუთრებით ოპერის დასადგმელად შესაფერი ვერაა. მეორე მხრით ოპერაში უცხო ტომის შვილნიც მონაწილეობდენ, მაგრამ მიუხედავად ამისა შესრულებამ მოლ. გადააჭარბა.

ოპერის მთავარ პარტიას ასრულებდა ქ-ნი კალანდაძე-მგასოვისი. მსახიობი ქალი რავდენათაც თავისი

წმინდა, დამუშავებული ხმით ატყვევებდა მაყურებელ-მსმენელთ, იმდენად თავისი თამაშით: ყოველი ჰანგი, ყოველი ბგერა, ყოველი მიმოხვრა და ნაბიჯი მისი, სახის მეტყველება და თავის დაკავება შეწონილ-შეთანხმებული და უნაკლო იყო: მსახიობქალს სავსებით შეუგნია ქრისტინეს გაწბილებული და ტანჯული სულისკვეთება. მისი მხარის დამამშვენებელი იყო მსახიობ-მომღერალი კურბატოვი. მიუხედავად იმისა, რომ იგი უცხო ტომის შვილია, ჩვენი ოპერის საპატიო მუშაკად უნდა ჩაითვალოს. ბ-ნმა კურბატოვმა გვიჩვენა, ხელოვნების უანგარო მუშაკს და ბეჯითს მუშაობას რაოდენი ნაყოფის მოტანა შეუძლიან. გამოთქმა თითქმის გამოსწორებული აქვს, ძნელად შეატყობთ უცხო ტომობას. როგორც მომღერალი და როგორც მსახიობი თვალსაჩინო ძალას წარმოადგენს რაიცა ამ საღამოს დაამტკიცა დათიას მშვენიერი აღსრულებით. მსახიობს სავსებით შეუგნია დათია და იშვიათად შენიშნავდით სიყალბეს. ეჭველია, მის რეპერტუარში დათიას პარტია საპატიო ადგილს დიპერს. ვ. სარაჯიშვილის სახელი ნათელჰყოფს, როგორც შეასრულებდა იასონს: სრული ხატებ მოგვცა. ქ მა მიხეილოვისამ სამი პარტია შეასრულა--მარიკასი, დიასახლისისა და გოგიასი და სამივე იმდენად ხელოვნურად, განსხვავებული, რომ ძნელად შეატყობდით თუ სამივეს აღმასრულებელი ერთი და იგივე პირი იყო. აღსანიშნავია აგრეთვე ლიზგეიმი (სონას აღმასრულებელი) ი. დავითაშვილი (არჩილი), რომელმაც ზომიერად და სინამდვილესთან დაახლოვებით განასახიერა მოქეიფე თავადი, ნ. ნიკოლაძე (დარჩო) და მუსიაჩენკო (კინტო) --ეს უკანასკნელი ცოტა ამლაშებდა. გ. იორდანიშვილმა საუცხოვოდ იცეკვა კინტოური. გუნდი კარგი მომზადებული აღმოჩნდა. იმედია ქართულ ოპერის განვითარებას ხელს შეუწყობენ, თუ კიდევ შფრო ბეჯითად მოეკიდნენ საქმეს. ოპერას ჭლოტბარობდა ნიკ. გიორ. ქართველიშვილი, რომლის მუსიკალური გემოვნება და ლოტბარობის უნარი ამ ოპერის აღსრულებითაც დამტკიცდა. როგორც გვითხრეს. თურმე ამ ოპერის დადგმას მან დიდი შრომა შეალია ა სამშობლო მუსიკის აღორძინებას დიდათ უწყობს ხელს. გამარჯვებულიმც გვენახოს მისი მიზანი. საკრავთა შორის შესულია დუდუკიც.

ოპერა ოთხჯერ დაიდგა, თითქმის ზედი-ზედ. პირველი წარმოდგენის დროს ქართულ მუსიკა-მომღერალთა კავშირმა ავტორს--გოგნიაშვილს თაიგული მიართვა, ხოლო ლოტბარს ნ. ქართველიშვილს გვირგვინი. საზოგადოებამ დიდის ტაშით დააჯილოვა ავტორი და ადმსრულებელნი. **ექიმი შტოკმანი**

თელ ავი წარმოდგენების მხრივ დიდად ჩამორჩენილად უნდა ჩაითვალოს. წარმოდგენები აქ მხოლოდ შემოხვევით იმართება, უფრო-კი საქველმოქმედო მიზნით და, რასაკვირველია შემოსავალს უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე თვით ხელოვნებას: ამასთან ასეთი წარმოდგენები ხელმიუწვდენელი ხდება შდაბიო მშრომელ ხალხისთვის, რის გამოც იგი სრულებით მოკლებულია გონებრივ საზრდოს.

ეს გარემოება აიხსნება უპირველესად თეატრის უქონლობით. თელავში არა თუ თეატრი, ისეთი დიდი შენობაც-კი არ არსებობს, სადაც შეიძლებოდეს წარმოდგენების მართვა. მართალია საზოგადო საკრებულოში სცენაა მოწყობილი, სადაც ეხლა იმართება წარმოდგენები, მაგრამ დარბაზი მეტად პატარა და მოუხერხებელია ეს გარემოება ჩაითელება უმთავრეს მიზეზად, რომ წარმოდგენები თელავში სისტემატიურად არ იმართება, აგრეთვე იმის ბრალია, რომ ჩვენი მსახიობნი იშვიათად გვესტუმრებიან ხოლმე,

წარმოდგენები უფრო ხშირად იმართება ზაფხულობით, როცა ქართულ თეატრის მსახიობთ შემთხვევა ეძლევათ პროვინციებში ყოფნის, მაგ. როგორც ახლა აქ იმყოფებიან ბეჟანიშვილი, კორიშელი, ბეგლარიძე, სხვებიც აპირობენ თურმე ჩამოსვლას და რასაკვირველია პატარა დასს შეადგენენ, მით უმეტეს საზაფხულო თეატრი უკვე შენდება, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ჩვენი მშობელი თეატრის აღორძინებას და აყვავებას თავისუფალ საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამის შემდეგ თელავში გამართულ წარმოდგენების ანგარიშს უფრო ბეჯითად გავაცნობთ მკითხველს იმის და მიუხედავად, თუ ვინ, ან ვის სასარგებლოდ იქნება გამართული. რადგანაცა თეატრი პარტიის გარეშე უნდა იდგეს.

თიბათვეს 2 აქაურ საკრებულო დარბაზში გაიმართა გასართობი საღამო, რომელიც შეხამებული იყო სხვა და სხვა შინაარსით გარეგნულადაც მ ჩვენივრად ძველი სტილის გემოვნებაზე მოერთოთ ოთახები.

პირველად გ. ციცქიშვილმა მიჰმართა დამსწრე საზოგადოებას დროის შესაფერისი სიტყვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, რომელიც ყურადღებით იქმნა მოსმენილი. შემდეგ წარმოადგინეს 1 მოქ. ვოდ. ..დედის ერთა'', მონაწილეობდენ ბეჟანიშვილისა და პ. კორიშელი. თვით პიესა სუსტია, მოსაწყენი, მაგრამ მსახიობთა ხელოვნურმა თამაშმა ცოტა გამოაკეთა. აგრედვე კარგად შეასრულა მოხუც აფიცრის როლი გ. ციცქიშვილმა, დანარჩენები სუსტობდენ და ზოგი ხომ სცენაზე იცინოდა კიდეც, რასაც ადგილი არ უნდა ქონოდა. საზოგადოდ ასეთ დრო-მოჭმულ პიესების დადგმას უნდა ერიდნენ, ვინაიდან საზოგადოებას არაფერს აძლევს და არც ინტერესს შეადგენს მათთვის.

წარმოდგენას მოჰყვა საკონცერტო განყოფილება: თელავში მდგომ მერვე ქართულ პოლკის მგალობელთა გუნდმა ზურაბიშვილის ლოტბარობით მშვენივრად შეასრულა ეროვნული სიმღერები.

საღამო გაიმართა ერ.-დემოკრატიის თელავის პარტიის სასარგებლოდ. საერთოდ მხიარულად ჩაიარა და აუარებელი ხალხი დაესწრო. **ვარუნი.**

შარადა

სახელი გვინდა მგოსნისა, ორბელიანთა გვარისა,
მოტრფიალის და შემმკობის თავის სამშობლო მხარისა.

და კიდევ ქორონიკონით დასწერეთ ოთხი ჩქარადა;
ეგები რამე ნაირათ შევკინძო ჩემი შარადა.

შემდეგ მიხსენეთ სახელი ბუჩქნარის ნაზ ყვავილისა,
სურნელოვანის, ფერითაც ატლასისა და ლალისა.

თვლით ერთის შემდეგ ორია და ორის შემდეგ რაც არი
თუ იმას მეტყვით შარადაც გათავებისთვის მზათ არი.

მხოლოდ ჩვენ კიდევ ხსენება გვჭირდება უკანასკნელი,
უსუსურ ბავშსა რაც კვეშავს გვიბოძეთ მისი სახელი;

სამ ანბანისგან შესდგება,--წინიდან ერთი თქენია,
და დანარჩენი ორი-კი ჩვენი შარადის ძღვენია!.

ვარდენ ყიფიანი.

მოწოდება

კულტურის და შრომის კავშირისაგან.

დღევანდელს განსაკუთრებულ პირობებში, როცა იწყება ჩვენი სახელმწიფო ბრივი ცხოვრება, საქართველოს ყველა მოქალაქის მოეთხოვება უაღრესი თავგანწირვა, რაც შეიძლება მეტი საქმიანობა სახელმწიფოებრივ იდეის განსამტკიცებლად და გასამაგრებლად.

ყველა მოვალეა, რითაც-კი შეუძლიან, ხელი შეუწყოს ეროვნულს საქმეს. მიიტანოს ერის საკურთხეველზი თავისი ძალა, ღონე, საღსარი, ცოდნა და გამოცდილება.

დიდია გასაჭირი ჩვენის ქვეყნისა, მრავალი საფთხე მოსდგომია მას ყოვლი მხრიდან, შინ და გარედ.

საჭიროა განსაკუთრებული შედეგება ერის ყველა შემადგენელ ნაწილებისა, განსაკუთ ებული მხნეობა, სიფხიზლე, შრომა, თავგანწირული შრომა.

სიტყვების დრო წავიდა დადგა დრო საქმისა, შემოქმედებითის შრომისა, ცხოვრების ახალ ფორმების აღმშენებლობისა.

საზოგადოების უმრავლესობის ყურადღება მიპყრობილია დღეს პოლიტიკურ საკითხებზე.

ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ არა ნაკლებ საჭიროა საქმიანობა კულტურულ ნიადაგზე, ზრუნვა საქართველოში ნივთიერ-სულიერ კულტურულ აყვავებ.

და აი ამ უკანასკნელ შრომისათვის მოუწოდებს ქართველობას ახლად დაარსებული კულტურის და შრომის კავშირი. იწვევს ყველას, ვისაცა სწამს, რომ საშობლოს ხსნა პატიოსანს, თავ განწირულს, დაუღალავს შრომას შეუძლიან, ჩაეწეროონ კავშირში თავიანთი წვლილი შეიტანონ მისს მომავალს საქმიანობაში, საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების კულტურულ ელემენტების შექმნაში.

ნუ დაგვეკარგება და გამოუყენებელი ნუ დაგვრჩება ნურც ერთი ცოცხალი კულტურული ძალა თუნდ სულ მცირედი ნივთიერი შესაძლებლობა ჩვენის მიზნის განსახორციელებლად-

კავშირის წევრად ჩაწერა შეიძლება; 1. კავშირის კანცელარიაში (სასამართლოს ქუჩა, № 26, ბინა გ- ჟორდანიასი, ტელეფონი 17-00); 2- გაზეთ „საქართ ელოს; რედ. ვლ. ფანიაშვილთან და 3, კოოპერეტივ „დახმარებაში" (ერევნის მოედანი, ირ. თაზიშვილთან.

კულტურის და შრომის კავშირის
გამგეობის თავმჯდომარე, **გ. ჟორდანია.**

რედაქციისგან

ეურნალი „თეატრი და ცხოვრება" ძმიმე პირობებში გამოდის. საერთო კეთილგანწყობამ მოულოდნელად უზომო ხარჯები მოგვთხოვა. ეურნალის მკითხველ-მეგობარნო, ნივთიერად ხელი წამოგვიჭირეთ! შემოწირულები უნდა გამოიგზავნოს **რედაქციის** სახელზე თბილისი, ბარის ქ. № 20, სახ. ბარეევანის)

პოდ რ.რ.! ეურ. „თეატრი და ცხოვრების" ფონდის სასარგებლოდ. ამასთან ერთად გვაცნობ ჩემთვის დიდათ დასაფასებელ ეურნალ „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ რომ დროულ დახმარებას საჩინოს მოქალაქეთაგან შეკრებ ილს.

პატ[illegible]ისცემით **ელენე ბ. თვალავაძისა**

შემომწირველთა სია:

დიმიტ. ჩესტორისძე ნიკურაძემ 100 მან. ეგს შეოირიშვილმა 51 მან. ედისაბედ თგ. ადაგაძემ—40 მან ალბროსი ჩახუნაშვილმა 20 მან. თხუტმეტ თხუტმეტ მან. კოლა აბრამიძემ, სიმ. ბურკაძემ; არჩილ სუ, ადაგამ—11 მან თითო თუმანი: ნინო ალექსანისამ. ემელიან უჯმაჯურიძემ გერმ. ნაფეტვარიძემ, მაქს კარბაძე, შეტა მიდორაგასამ. მელქ. ხელიძემ ვ. ოდი თურმანიძემ; ექვს—ექვსი მანათი კაკო ლ. მიშაიამ ა. ჩაჩ.ნიძემ, მაშ. ჩიჩავაძისამ; ხუთ-ხუთი მან. მინადორა ახვლედიანისამ, მიშა შარდენიძემ ვასტ. ნაკაშიძემ, კოლია კიკელიძემ აკვ. უჯმაჯურიძისამ ილ. უჯმაჯურიძემ, კალ. ლასხიშვილმა, იოსებ ჟვანიამ, ამეს. ავალიანმა დათ. ხველდიანმა, სიმ. აბაშიძემ. მ. ლორთქიფანიძემ, ტ. გოგორიშვილმი, სილ. აბრაიძემ, ვლ. რატიანმა, დავ. მილიორგამ, მანცია ლორთქიფანიძემ, ერ. ძაგნიძემ, ვერა ბელაკონიევისამ' ვას. ჯოლოშვილმა, პ. გეგილაშვილმა, არს. ადეიშვილმა, ლ. გაჩეჩილაძემ, ჯერა გოგორიშვილმა; გერ. ცინცაძემ 4მან. სამ სამი მან ვალ. ახვლედიანმა, ფატ ავალიანისამ, კალისტე ავალიანისამ, სან. ნიკოლაშვილმა, ილ. ლორთქიფანიძემ, დიმ. ბელთაძემ, ტასკიო ჩახუნაშვილმა მიხ. ჩუნდიაშვილმა ელიკო პაპიაშვილმა, მატრონე ჩახუნაშვილისამ ნოე გაგნიძემ ოლ. ჟვანისამ, ილ გაგნიძემ, ქსენია ლორსაბერიძემ, ვატა ლორთქიფანიძისამ, ვლ. მალაკელიძემ, ვან. აბრამიძემ, დ. გეგელაშვილმა; თითო მან. ტარ. ახვლედიანმა, გიგო კალანდაძემ, ალ. ნადიარაძემ და იას. მელაძემ ნიკ. გრ. დავითაშვილმა 10 მან. დავით აკოვაშვილმა 50 მან. ნ. ასლამაზიშვილმა 5 მ.

პრაპორჩიკ დავ. ალექ. ვანიძის სახსოვრად, რომელიც გმირულად დაიღუპა ქ. ბათუმის აღების დროს პირველ ხარისხოვან ფორტ ანარიაზე სხვა ოფიცრებთან ერთად. მისმა დედამ ლიუდ. ვანიძისამ ქარცივაძის ასულმა შემოსწირა „თეატ. და ცხ." 25 მ.

ვანო გიგოშვილმა თავისი ოპერეტის „არშინ მალ ალანის" ერთი წარმოდგენის ჰონორარი შვიდ თუმან ნახევარი ეურ. „თეატრი ცხოვრება"-ს შემოსწირა.

შემომწირველთ გულითადს მადლობას ვუძღვნით.

რედ.

ოპერა „ქრისტინე" მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის მიერ საქართველოს სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება ხვალ, ორშაბათს ივნისის 17, მონაწილეობენ კალანდაძე-აგასოვისა მიხაილოვისა ბერეზინი კურბატოვი ნიკოლაძე დავითაშვილი მუსიჩენკო და სხ. ლოტბარობს გრანელი. დუდუკით. კონტროლ. იცეკვებს გ. იორდანიშვილი. გუნდი გადიდებულია. ბილეთები ამ თვითვე იყიდება თეატრის კასაში.

ვ. ჟამყოფლიძის იუბილე გაიმართება დღეს სახელმწიფო თეატრში.

გ. ქუჩიშვილის დილა დღეს ქართულ კლუბში.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**